# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 320

„12" ივლისი 2024 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, გიორგი სააკაძის ქუჩა №30-ში არსებული 38.91 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.20.01.056.005.01.503) და 46.52 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.20.01.056.005.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, გიორგი სააკაძის ქუჩა №30-ში არსებული 38.91 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.20.01.056.005.01.503) და 46.52 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.20.01.056.005.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 9 ივლისის №24.1197.1311 *განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების:* ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, გიორგი სააკაძის ქუჩა №30, შენობა №1-ში არსებული 38.91 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.20.01.056.005.01.503) და ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, გიორგი სააკაძის ქუჩა №30, სართული 2, შენობა №1-ში არსებული 46.52 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.20.01.056.005.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ლენა ჭუნაშვილისთვის (პ/ნ: 01001030720) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე